

საქართველოს ორგანული კანონი

სამოგალოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ

მუხლი 1. (14.12.2006 N3973)

ეს კანონი განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, პროფესიული კავშირისა და სხვა სამოგალოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის საფუძვლებსა და წესს.

მუხლი 2.

სამოგალოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

1. სასამართლოს შეუძლია 3 თვემდე ვადით შეაჩეროს იმ სამოგალოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე.

2. სასამართლოს მიერ სამოგალოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ სამოგალოებრივი გაერთიანება კვლავ აგრძელებს საქმიანობას.

მუხლი 4.

სასამართლოს შეუძლია აკრძალოს სამოგალოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამცობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განაახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას.

მუხლი 4¹ (25.07.2006 N3537)

სამოგალოებრივი გაერთიანებისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან მისი ლიკვიდაცია შეიძლება სამოგალოებრივი გაერთიანების მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

მუხლი 5.

სასამართლოს გადაწყვეტილება სამოგალოებრივი გაერთიანების შეჩერების ან

აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6.

საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1997 წლის 14 ნოემბერი.

N 1103 - სს